

# შინაური საქმეები

№ 4.

კვირა, იანვარი 24, 1910 წ.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.

ადრისი: მუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველკვირეული გაზეთი.

შინაარსი: საეპარქიო კოეზის მოლოდინში — ხელის; სიტყვა. წმ. ნიჭის დღეს თქმული ფოთის საკათედრო ტაძარში 1910 წელს — ეპისკოპოსი ლეონიდს; გლოვა — აკაკის ლექსი, მე ვერ ვპოვე მოძღვარი — რ. მხოლლასი, ვადაბრუა, — რ. საჯავახელისა; კიდევ ქართული საეკლესიო წიგნების შესწორების შესახებ — დიმიტრას მამიდაშვილის; სამღვდლოების ავ-კარგი. — Fanus. დამღუპავი საქციელი. პროვინცია — მღ. ა. გოლეთიანისა;

ყოველკვირეულ გაზეთ  
**„შინაურ საქმეებს“**  
 ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო — კახაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.  
 წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. დ. 10 კ.  
 გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

◆◆ **სტამბა** ◆◆  
 იმერეთის წმ. გიორგის სარწ. — განმანათ.  
**„მეობრის“**  
 ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, ს. კირიშვილის სახლში, კუბურნატ. კანტელარიის ქვეშ,  
 ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს  
 — სულ-მისაწვდომ ფასებში —  
 ასრულებს სუფთად და თავის ღრობზე.

## საეპარქიო კრების მოლოდინში სამღვდლოების საშურადღებოდ.

თებერვალში ორ საეპარქიო კრებას მოველით — გურია — სამეგრელოში და იმერეთში. ეხლანდელი მომენტი სამღვდლოების ცხოვრებისა არა გავს განვილილს. ეხლა სწორეთ ის მომენტი, როცა სამღვდლოებამ წინ უნდა დაიხედოს და თავის მდგომარეობა გაითვალისწინოს და თავის მომავალი თავის მოვალეობის შეგნებაზე მოაწყოს. დღეს ის დრო აღარ არის, როცა სამწყსო თავის სულიერ მოძღვარს სრულ არსებად უყურებდა და თითოეულ მის სიტყვას მისხლობით ყიდულობდა, როცა მის ზნეობრივ პიროვნებაზე ლაპარაკს ვერ ბედავდა; ის დრო აღარ არის, როცა მოძღვრის მოქმედება ეჭვს არ ბადებდა; ის დრო წავიდა, როცა მას ბრმათ ენდობოდნენ. დღეს მოძღვრის ყოველ მოქმედებას კრიტიკულად უყურებენ, ყველანი მის მოძრაობას, რწმენას, სიტყვას თვალყურს ადევნებენ, სალაცხოზე გამოაქვთ მთელი ქვეყნის დასანახავათ ბოროტი განძრახვით, რომ დაამცირონ ხალხის თვალში მთელი წოდება, ჩირქი წასცხონ მის ზნეობრივ და სარწმუნოებრივ ფიზიონომიას და მით დასცენ და მოსპონ იგი პირისაგან ქვეყნისა. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა დღეს სამღვდ-



ლოებისა და ამაში თითონ არის დანაშაული. თანამედროვე სამღვდელთაგან დაჰკარგა ზნეობრივი გავლენა ხალხზე მიტომ, რომ თვით საეკლესიო ზნეობისა გადაიქცა, დაჰკარგა სარწმუნოებრივი გავლენაც მიტომ, რომ თვით ურწმუნო შეიქმნა, და გულწრფელი დამოკიდებულება მრევლისა მიტომ, რომ თვით აღარაა გულწრფელი და რასაც სიტყვით აღიარებს საქმით უარყოფს. ხალხი ველარ ხედავს ზნეობით ფაქიზ და სარწმუნოებით მტკიცე მოძღვარს და მანაც გული აიკრუა თანამედროვე მოძღვარზე. აი ეს გარემოებაა დღეს თავსატეხი. ამას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება დღევანდელ სამღვდელთა კრებისა. თავის ცრუ მდგომარეობის გამორკვევას და გასწორებას უნდა შესწიროს კრებამ უმეტესი ნაწილი თავის სჯა-ბაასისა და არა სანთლის ქარხნის აღებ მიცემობას, რომელსაც ქართლ-კახეთის სამღვდელთაგან შეამტვრია თავი თავის უკანასკნელ კრებაზე. და რას დაგვჩემებია ეს ცოდვით სავსე სანთლის ქარხანა, რომელიც ზედმეტ ჩირქს სცხებს ისედაც გათხუზულ სამღვდელთაგან, ეს საცოდავი „უჩილიშჩა“, რომელსაც უღვთოებისა და უზნეობის ბატალიონები გამოჰყავს სამოქმედო ასპარეზზე? თუ შესაძლებელი არ არის წმიდა სანთლის წმიდად მოხმარა და ზნეობა-სარწმუნოების დამკარგველ სასწავლებლის გადაკეთება, რას გვარგია ან ერთი და ან მეორე მაშინ უნჯობესია ჩვეულებურათ ჩამოქნილი სანთელი—აქ არაფერი სიყალბე ჩაიდინება—და უსწავლელი, მაგრამ ზნეობით და სარწმუნოებით მტკიცე ჩამოშავლობა, რომელიც ზეცას მაინც არ დაკარგავს, თუ ამ ქვეყნის სიამოვნებას მოაქვს. ვსწავლობთ, ვითომ ვნათლდებით, და მეტ სიბნელეში და უმეტეს კრებაში შევდივართ,—ითომ ხალხს ვხმარებით და კისერში კი ვაჯდებით სარჩენად. მუშაობს, იღვწის მუშა, რომლის

წრე თან და თან მკირდება, რამდენათ ცრუ განათლება ფებს იკიდებს, და თავის ნაშრომიდგან მესამედიც აღარ რჩება ოჯახის გამოსაკვებათ, იმდენი ჰყავს მკამელი შინ და გარეთ.

მერე რა ფული იხარეჯება ამ ქვეყნის წურბელთა აღსაზრდელათ? ის ფული, რომელიც ჩვენმა ძველებმა სარწმუნოებით სავსე გულით მიართვეს ეკლესიას კეთილ მოძღვართა აღსაზრდელათ და სარჩო-საყოფელათ. აი ამ ფულით იზრდებიან დღეს ის ვაჟბატონები, რომლებიც შემდეგ სარწმუნოებას უარყოფენ და თავის ცხოვრების მიზნად ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას ისახავენ. ნუ თუ ეს შეურაცხება არ არის მამაბათა წმიდა ანდერძისა? აი რა მხრით უნდა შეხედოს დღევანდელმა სამღვდელთაგან იმ სასწავლებელს, რომელიც თავისად მიაჩნია და რომლის დანიშნულებას ზნეობით ფაქიზ და სარწმუნოებით მტკიცე აღამიანთა წარმოშობა უნდა შეადგენდეს, რომელიც უნდა ქმნიდეს არა ბატონებს, არა მუქთა-მქამლებს და სხვის ხელში შემჩერებებს, არამედ პატრიოსან მშრომლებს, სარწმუნოების და ზნეობის მედგარ ბურჯებს. ბატონების აღმზრდელი სასწავლებლები კი უამისოდაც ბევრია დღეს ჩვენ თანამედროვე საქართველოს ღია და ყოვლის მიმღებელ გულზე

სანთლის ქარხანაც თავის საშუალებით ბატონების და ქალბატონების აღზრდას არ უნდა ემსახურებოდეს, სანთლის ფული მოდის იმავე წყაროდან, რომლიდანაც გამოდინდა სასულიერო სასწავლებლის შესანახი ფული. ხალხმა მოიტანა ეს ფული ეკლესიაში სარწმუნოებით სარწმუნოებისავე ასალორძინებლად და განსამტკიცებლად, კეთილ აღამიანთა და მწყემსთა აღსაზრდელად და სარჩენ-საყოფელად და რა უფლება გვაქვს ჩვენ ამ ფულით იმავე ხალხის სარწმუნოების უარისყოფელნი აღვზარდოთ?

არა. ამ წმიდა გულით მოძღვნილ ფულს წმიდა დანიშნულება უნდა მიეცეს. ამით უნდა დაარსდეს საღვთისმეტყველო კურსები იმ უკვე ჰასაკოვან პირთათვის, რომელთაც შეგნებულად და არა გარემოებათა ძალდატანებით სურთ მიიღონ მოღვაწეობა მოძღვრისა.— ეს ფული მას კი არ უნდა ხმარდებოდეს, ვისაც ჯერ თავის მიმართულება არ განუსაზღვრავს, არამედ მოქმედების საშვალებას უნდა აძლევდეს მას, ვინც შეგნებულად გადასწყვიტა თავი დასდოს მოყვასთათვის, მტლად დაედოს ქრისტეს სარწმუნოებას, მის ნაქადაგებ ზნეობას.

გვითქვამს და ვიტყვით, რომ ისეთი უკმაკური აღზრდა ბავშვისა, რომელიც ჩვენ დაგვიჩემებია, ნაყოფს ვერ გამოიღებს. ბავშვის აღზრდა ყურადღებას უნდა აქცევდეს მის ბუნებრივ ნიჭთა და კეთილ მიმართულებათა განვითარებას და არა იმას თუ რა გამოვა მისგან, ბარი თუ ნიჩაბი. ჩვენ კი დაიბადება თუ არა ბავში, მაშინვე დანიშნულებას ვაძლევთ, ეს მღვდელი უნდა იყოს, ეს ინჟინერი, ეს ექიმი, ეს ვეჟილი, ეს გერენალი და სხვა და სხვა. ამ ნაირად ვტყვით, ვამსხვრევთ ყრმის ბუნებას და თუ უმცირეს შემთხვევაში შემთხვევით მიზანს ვაღწევთ— უმრავლესობა გამოგვყავს მახინჯი მღვდელი, მახინჯი ინჟინერი, მახინჯი ექიმი, მახინჯი ვეჟილი, უკმაყოფილონი თავის ბედისწერისა და უმადურნი თავის ხვედრისა. „ბავში არ დაბადებულყო, ზურაბს არქმევდენო“— ასეა დღევანდელი სწავლა-განათლების საქმე და სრულებით არ უნდა გვიკვირდეს, რომ ზურაბის მაგიერ ხშირათ მზეხათუნ იბადებოდეს.

მესამე საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კრებამ და უთუოდ პასუხი უნდა აგოს, არის სარწმუნოების განმტკიცება ხალხში. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ამ თავის უმთავრეს მოვალეობას დღემდის სამღვდელთა არავითარ ყუ-

რადლებას არ აქცევდა. შეიძლება სადმე მორწმუნე მღვდელი წელიწადში ორ სამ სიტყვას წაილაპარაკებდა ეკლესიაში და ამით შეასრულებდა თავის უმთავრეს მოვალეობას. ხოლო ეს რომ საკმარისი არ არის, ახლო წარსულმაც გვაჩვენა და აწყოც გვარწმუნებს. ეხლა, ქურნალ გაზეთების საუკუნეში, თითო ოროლა მღვდელის ქადაგება, ისიც ეკლესიაში, სადაც მსმენელიც არ არის, გარდა ღრმად მორწმუნე ადამიანებისა, რომელთათვის ქადაგება მხოლოდ გამხნეებაა და წაქეზება, არ კმარა. ქურნალ-გაზეთმა კათახანია შეიფრიალა ხალხში და იგი ამ ცოტა ხანში თითქმის იგივე შეიქმნა ხალხისთვის, რაც სასმელ-საქმელი. წიგნები და წიგნაკები ფართოდ მოეფინა სოფელს და ერთბაშით შეატრიალა ხალხის მსოფლ-მხედველობა. აქ სხვა იარაღია საჭირო; აქ, ეკლესიაში თავმოყრილი მსმენელი ძლიერ მცირეა იმათთან შედარებით, ვინც ქურნალ-გაზეთების, წიგნებ-წიგნაკების და უმეტეს ჰაერში მფრინავ აზრების გავლენის ქვეშ არიან, საჭიროა ტაძარ გარეთ გამოსვლა, სახალხოთ ქადაგი „დროითი უდროვო“ პავლე მოციქულის სიტყვით. უმეტეს საჭიროა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსის წიგნებ-წიგნაკებისა და ქურნალ-გაზეთების გავრცელება. სირცხვილია, სხვა არა იყოს რა, სამღვდელთა გულხელ დაკრებილი ცივად უყურებდეს, თუ როგორ ირყვნება ხალხი თანამედროვე ღვთის უარისმყოფელ ცრუ მეცნიერთა მოძღვრებით, და თითონ ყურსაც არ იბერტყავდეს. გომართელის „სული და ტვინი“, ბებელის „ქრისტიანობა და სოციალიზმი“, რენანის „ცხოვრება ქრისტესი“, დარვინის მაიმუნის ჩოჩხებიანი კალენდრები და სხვა ამ გვარი თანამედროვე მატერიალისტურ მეცნიერების მარგალიტები თავისუფლად დათარგმობენ სოფელში და ასეთ წიგნებს კი, როგორც არის ჩელპანოვის „სული და

ტვინი "ფარარის და ედერში მის. ცხოვრება ქრისტესი" კატრინის. შეუძლებლობა სოციალიზმისა, "შაფფის ქრისტე საკვირველება ისტორიისა" და სხვ. სულ არ იცნობს სოფელი და, მგონი, უმეტესი ნაწილი სამღვდლოებაც. ეს პირდაპირ დანაშაულობაა სამღვდლოების მხრით, დანაშაულობა, რომელიც თუმცა ციმბირში არ გაგზავნის მას, მაგრამ მწარე შედეგებს კი მოუტანს მას პირადად და მთელ საქართველოს ეკლესიას საზოგადოდ.

რა თქმა უნდა, ასეთი წიგნების გავრცელებას არა მარტო სამღვდლოება უნდა ცდილობდეს, არამედ ინტელიგენციაც უნდა ხელს უწყობდეს, მაგრამ ჩვენი ინტელიგენცია მაგ კუთხე არ სდგას ეხლა მან არც კი იცის თუ ქვეყნიერებაზე არსებობს მორწმუნე მეცნიერი; მეცნიერი და ღვთის უარისმყოფელი მისთვის ერთი და იგივეა. ამიტომ ისევ სამღვდლოებამ, მორწმუნე და თვის მოვალეობის შემგნე სამღვდლოებამ უნდა იზრუნოს ამ საქმისათვის. მძიმე იქმნეს შეიძლება ეს შრომა მისთვის, მაგრამ რა გაეწყობა. ამას გვავალეებს ჩვენი სამღვდლო წოდება. საქმე უკვე დაწყებულია, საფუძველი ჩაყრილია. სწორედ ამ მიზნით დაარსდა სარწმუნოებრივ განმანათლებელი ძეგლი, რაც ჩვენმა მკითხველებმა კარგათ იციან, ცოტა ხელის შეწყობა და თუ ბევრს ვერას გავაკეთებთ, მაინც "კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირება"

ხელი.



# სიბყვა

წმ. ნინოს დღეს თქმული ფოთის საკათედრო ტაძარში 1910 წელსა.

ჩვენო სამშობლოვ, წმიდა ნინო ცამ მოგივლინა, ქრისტეს ნათელი, ქრისტეს სხივი მან შენ მოგფინა"

მ. ოკაბილიანი.

ამ ოცი-თვრამეტი წლის წინეთ, თქვენს მორჩილს მსახურს, ისეთი საქმე მქონდა მონღოლილი სასულიერო მთავრობისაგან, რომ მისი პირნათლად გაძლოდა და, შეძლებისგვარად, სასურველად შესრულება მავალვდა, რაც შეემძლო, ხშირად მეველო და შემოგზავრნა საქართველოს შორეულ და მივარდნილ კუთხეებში: ფშავ ხევსურეთში, გუდამაყარმთიულეთში, საინგილო-თუშეთში და სხვ ერთ ამ გვარ მოგზაურობის დროს, მთებში მივარდნილ ღარიბად მოწყობილ რომელიღაც სოფლის ეკლესიაში მთელი ჩემი ყურადღება და გრძნობა მიიზიდა და შთანთქა ჩემთვის ახალმა და დიდად საგულისხმო სანახავმა. კანკელის თავზე, აღსავლის კარის ზემოთ, იქ, სადაც ჩვეულებრივად ვხედავდი ხოლომე იესო ქრისტეს ჯვარცმას, ჩემი ყურადღება მიიქცია ზეციდან ჩამოფრენილ არსების მსგავსმა ქალის მოზრდილმა სურათმა. ღეთაებრივ ნათელით გაცისკროვნებულ ქალს, მალლა აღმართულ მარჯვენა ხელში ეკავა ჯვარი. მარცხენაში კი, რომელიც დაშვებული მქონდა დაბლა, ეჭირა თოულივით თეთრი ქალაღლის ფურცელი გარკვეული ზედწარწერით "ივერია".

დარწმუნებული ვარ, თქვენც მიხვდებით, რომ ეს იყო ხატი ჩვენი განმანათლებელის, ჩვენი საკუთარი მოციქულის, ქართველი ერის სიქადულისა და თავმოსაწონი გვირგვინის, ქართველთა საერთო საყვარელი დედის წმ. ნინოსი. გამაცვიფრა ამ სურათის აზროვნებამ და იმ დღიდან აღარ გაშორებია იგი მს მეხსიერებას.

„საყვარელო შეილო და მეგობარო“, ასე წავიკითხე ნაჩვენებ სურათზე მისი მალალი ნიჭით შემკობილი დამხატველის აზრი, „ყოველთვის და ყოველგან თვალწინ გედგას და გახსოვდეს წმ. ნინოს დიდებული სახე და მისგან შენ სამშობლოზე გაწეული გადუხდელი ამაგი. გჯეროდეს, რომ შენი სამშობლო, ცნობილი იყერია, არასოდეს არ ამოიშლება არსებულ ეროვნებათა სიიღვანე, ყოველთვის იარსებებს, ყოველთვის იცხოვრებს და ცხოვრება მისი იქნება სახელოვანი, თუ შენ და მთლათ შენი თანამემამულენი მიმდევარნი იქნებით ქრისტეს მალალი მოძღვრებისა, თუ თქვენს ცხოვრებას, თქვენს მოქალაქეობას და თქვენს ურთიერთობას დაამყარებთ სახარების ბრძანებაზე, თუ თქვენი გონებრივი განვითარება, თქვენი მწერლობა და ვაჭრობა, თქვენი მეურნეობა და ყოველი წარმოება იქნება სარწმუნოებრივი, ქრისტიანული და არა უღვთო, არა ქრისტიანობის დამრღვეველი საწინააღმდეგოო.“ ჩამძახა ნახულმა სურათმა, ეს ამოვიკითხე ასში პირველსავე დღეს და რაც უფრო დრო გადის, რაც უფრო მეტად ვითვალისწინებ საქართველოს წარსულს თავგადასავალს, რაც უფრო გულდასმით ვუკვირდები არა ჩვეულებრივს დი ხანდისხან პირდაპირ უცნაურ აღძვრა-მოქმედებას, რომელსაც განიცდის ჩვენის სამშობლო, მით უფრო ცხადი და ნათელი ხდება ჩემთვის სურათზე წაკითხული, მით უფრო მტკიცე და მკვერამტყველი ხდება მისი მოძღვრება, მით რღმავდება და უცილობელი კეშმარტების ხასიათს ღებულაბს სურათის დედა აზრი, მისი მთავარი იდეა.

მართლა რა არის საქართველო თუ არა ქმნილება წმ. ნინოსი?

წმ. ნინოს მოძღვრების ფართო შეგნება და მალაღმა ქრისტიანულმა ცხოვრებამ მოუპოვა ქართველებს იმ დროინდელ განათლებულ კაცობრიობაში საუკეთესო, სამაგალითო ქრისტიანობის სახელი, წმ. ნინოს მოძღვრების მოფენამ შექმნა საქართველოში ისეთი პირობები, რომ შესაძლო გახდა აქ განჩნა ვახტანგ გორგასლანებისა, დიდი ბაგრა-

ტებისა, დავით აღმაშენებლისა და სხვათა მათ მსგავსთა; წმ. ნინოს ქადაგება დასაბამად გაუხდა ქართულ ენას, ამ ქადაგებამ გაზარდა ქართული ენა, განავითარა, გაფურჩქნა, დაიმუშავა და აიყვანა ის საოცარ სისრულემდე, როგორც არის ქართული სახარებისა და ვეფხის ტყაოსნის ენა; წმ. ნინოს სახელის პატივისცემამ და მისი ქადაგების ერთგულებამ მოაქარგინა ჩვენს მამა პაპას საქართველოს პირი იმ დიდებული ტაძრებით, რომლებსაც დღესაც განცვიფრებაში მოჰყავთ უგანათლებულესი ერების წარმომადგენლები; წმ. ნინოს სახელის პატივისცემამ და მისი მოძღვრების ერთგულებამ გადააქცია მთელი საქართველო რჩეულ გმირების აკვნად და ამ გმირებმა შეგვინახეს მკერდით სიცოცხლე და მიწა-წყალი.

დღესაც მრავალგან ირწობა ჩვენს სამშობლოში აკვანი, მაგრამ აღარ აგონებენ ჩვენი დედები თავიანთ ქორფებს სარწმუნოებისა, მამულის და მშობელი ერისთვის თავდადების ნანას და ამიტომ გაშიშვლდა ჩვენი სამშობლოც და ეკლესიაც. ველარ ვხედავთ ჯვაროსან გმირებს, დაკარგეთ და გავწყვიტეთ ჩვენი სულიერი ერთობის, გონებრივი თანხმობა—სოლიდარობის ძაფი—სარწმუნოება, აღარათერს ეუბნება ჩვენს გომებას წმ. ნინოს სახელი, აღარ გვახსენდება მისი საღმრთო შრომა და ღვაწლი, სადღაც გადავადგდეთ მისი ანდერძი, ჩვენი ოჯახიდან გამოვდენეთ მისი სახე, მისი წმ. ხატი და ვაი სირცხვილო, ვაი უზომო უგნურებავ, აღარც მშობლებს და აღარც შეილებს ნინოს ხსენების დღეს კი აღარ გვახსოვს.

შერცხვენა და თავის მოქრა ორკეცდება კიდევ იმის გამო, რომ ასეთ უმადურობას, ასეთ პირშაობას და უკულმართობას ეწევიან ჩვენში არა იშვიათად განგებ, მოფიქრებით სამშობლოს კეთილდღეობის სახელით!

იყო დრო—ჯვარით ვიცავდით თვითარსებობას\* ამოიკითხავთ ზოგიერთ ქართულ გამოცემებში, მაგრამ „ღრონი იცვალენ, ძვე-

ლებური იარაღი ახლა არ გამოდგება და თანამედროვე განათლებული კაცის თვალსაზრისით დასაგმობი ცააო, გვიქადაგებენ ხმამაღლა ახლად მოვლენილი მოძღვრები. მაგრამ, ნათქვამს ხომ ცხოვრება უნდა ამართლებდეს და საღ ნახეს ახალმა მქადაგებლებმა, რომ ურწმუნო, უღთო ერს ეარსებოს, წინსვლის გზაზე მდგარიყოს და სიკეთის კვალი გაეილოს კაცობრიობის ისტორიაში? ურწმუნოება, უღვთოება, ათეისტობა ყოველთვის და ყოველგან გამხრწნელი, დამცემი და დამღუპველი ყოფილა საზოგადოების, ურწმუნოება, უღთოება, ათეისტობა ყოველთვის და ყოველგან ცნობილი ყოფილა ადამიანთა გონებრივ და ზნეობრივ სიცოცხლის მომსპობ შხამად და სამსალად. როგორც კუნელი მუდამ კუნელი ყოფილა და კუნელადვე დარჩება, ასე რომ არასოდეს უურძნის მტენებს არ მოიბამს, ისე ურწმუნოება მის დღეში ბოროტება ყოფილა და ბოროტებადვე დარჩება. არა, სასიკეთო, მტკიცე და საბოლოო მხოლოდ და მარტო ის არის, რაც ქრისტიანული სარწმუნოების ჩაგონებით და სახელით რიგდება. ამას ამტკიცებებს ჩვენი სამშობლოს ისტორია, ამას ჩაგვძახის და გვიკარნახებს ჩვენი განმანათლებელი წმ. ნინო.

გვეყოფა ამდენი შეცდომა, ნუ ვუკარგავთ ჩვენს ერს სარწმუნოებას, ნუ ვუქადაგებთ მოზარდ თაობას უსჯულოებას, ნუ ვტოვებთ წმ. ნინოსგან გაკაფულ უცდომელ ცხოვრების გზას, თორემ, დაბრმავებული სამსონივით ჩვენივე ხელით დავცემთ ძირს ჩვენი არსებობის ცახე-სიმაგრეს და ჩვენც დიდიდან პატარამდე ყველანი ქვეშ მოვექცევით ამ ნანგრევებს...

გვანხოვდეს ბკვიანი სიტყვა ბკვიანი ქართველისა:

„ჩვენს სამშობლოვ,  
წმიდა ნინო ცამ მოგეფინა,  
ქრისტეს ნათელი, ქრისტეს სხავე  
მან შენ მოგეფინა“.

ეპისკოპოსი ლეონიდი.

# X გლოვა

სად არი კუბო თამარის,  
ქვეყნისგან ნაამბორისა?  
ვის ხელში არის საფლავი  
ნინო მოციქულთ სწორისა?  
სადღაა ჯვარი ვაზისა,  
შეკრული წმინდის თმებითა?  
დასდუმდა მისი ტროპარიც,  
ქართულის კილო ხმებითა.  
ქრისტეს სახელით ქრისტეს რჯულს  
წვალება შემოერია  
და ჩვენ ეროვნულ შტოებზედ  
„ქართველი“ აღარ სწერია.  
ვიტიროთ! არა! ვაგაკაცსა  
არ შევნიხ ცრემლით გლოვანი—  
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა  
სიკვდილი სახელოვანი“

აკაკი.

## ქიდევი ქართული საეკლესიო წიგნების შესწორების შესახებ.

(გათავება).

დეკ. ცინცაძე ბძანებს, ქართულ საეკლესიო დაბეჭდილ წიგნებში არ არსებობს სრული ერთნაირობა და ამჯარემობას შემოაქვს საღვთო მსახურებაში არეულობა. ნათქვამის დასასაბუთებლათ მოჰყავს შემდეგი მაგალითები:

მოგვმადლენის კვერექსის ერთ ერთი თხოვა ცისკარზე ითქმის ამ სახით: „ღღე ყოველი სრულიად სიწმიდით, მშვიდობით... ვითხოვთ“, ხოლო წირვაზე „ღღე ყოველი აღსრულებად, სიწმიდით, მშვიდობით... ვითხოვთ.“ მერე რა არის აქ საჩოთირო და უხერხული? როგორც დაბეჭდილი კანდაკებიდან სჩანს, აღნიშნული განსხვავება ნაჩვენებ კვერექსებს შორის მუდამ ემას ყოფილა, ე. ი. ცისკრის მოგვმადლენის კვერექსს

ერთ თხოვაში ყოველთვის თავის საკუთარი ფორმა ჰქონებია, წირვისას თავისი საკუთარი. ეს ფორმები რომ ყველა დროის ნაბეჭდ კონდაკებში ერთგვარად არ იყოს განსაზღვრული, რასაკვირველია, სათქმელი იქნებოდა, რომ იგინი არეულობას ახდენენო, მაგრამ, როგორც ვთქვით, ყველგან შენიშნული განსხვავებით არიან ნაჩვენები, ყოველთვის ამ განსაზღვრული სხვადასხვაობით წარმოსთქვამდენ და წარმოსთქმენ მათ საღვთო-მსახურების შემასრულებელნი და გაუგებარია, რამ უნდა გამოიწვიოს აქ არეულობა!

მაგრამ საქმე აი რაშია. ბერძნულ კონდაკში, აღებული თხოვა, როგორც ცისკარზე ისე წირვაზე წარმოსთქმის სრული ერთგვარობით, ერთი და იმავე სიტყვებით, სახელდობრ ისე როგორც ნაჩვენებია ქართულათ ცისკრის წესში. აი, ამისი თქმა, ამისი გამჟღავნება სურს მ. ცინცაძეს, სხვა არაფერი. არც ჩვენ მიგვაჩნია შეუძლებელად და მომაკვდინებელ ცოდვად, რომ წირვაზედაც იმ ფრად ვიხმაროთ ზემო ნაჩვენები კვერექსი, როგორც ცისკარზე ვხმარობთ მას, მაგრამ საკითხი და გამოსარკვევი ისაა, რა სიკეთეს შევმატებთ ამითი ქართულ ტექსტს.

ჩემი შეხედულობით, ასეთი შესწორება წაგვაგებინებს, და შეძენით კი არაფერს არ შეგვძენს. ქართულ მთარგმნელს სიტყვა სიტყვით გადმოუღია ბერძნული კონდაკიდან მოყვანილი თხოვა ცისკრის წესისათვის და, რასაკვირველია, მარტო გადაწერა და დასკირდებოდა წირვის წესისათვის, მაგრამ მას უფიქრია ვაი თუ ეს უმეტნაკლებო, ეს სიტყვა სიტყვით ნათარგმნი გაუგებარია, ბუნდოვანი და რჩეს მსმენელებისათვისო და წირვის კვერექსი გაუსხვავებია ცისკრის კვერექსისაგან, ნაცვლად „დღე ყოველი სრულიად, სიწმინდით... ვითხოვოთ“ უხმარია „დღე ყოველი იღსრულებად, სიწმინდით... ვითხოვოთ“—და ასეთი ცვლილებით თხოვის შინაარსი ყველსათვის გასაგები გაუხდია. ბერძნულ მთარგმნელმა ერთსა და იმავე შენთხვევაში ბერძნული დედნის სიტყვა სიტყვითი თარგმანიც

დაგვიტოვა და უცხო ენიდან გადმოქართულების სახელმძღვანელო ნიმუშიც მოგვცა. ეს თარგმანის ღირსებაა და მოვალენი ვართ სავსებით დავიცვათ იგი. თუ ხელთნაწერ კონდაკებშიაც იღმოჩნდა აღებული კვერექსი იმ ფორმით როგორცაა მიღებული გვაქვს იგი წირვის წესში, მას ხელს ვერ ვახლებთ და ყველამ ქედი უნდა მოვიხაროთ მთარგმნელის შეგნებულობის წინაშე.

ყველას შეგვიმჩნევია რომ მსჯელობის დროს მოლაპარაკე ხშირად ერთსა და იმავე აზრს, ერთსა და იმავე წარმოდგენას, ერთსა და იმავე ცნებას გამოსთქვამს ნაირ ნაირი სიტყვებით, განსხვავებული ლექსებით, განსხვავებული ტერმინებით, ეს სიტყვები განსხვავდებიან ერთი მეორისაგან მარტო გარეგნობით შინაარსით კი ერთი მეორის ტოლი, ერთი მეორის ბადალი, ერთი მეორის თანაბარი და ერთი მეორის მსგავსნი არიან ასეთი ტერმინები სიტყვიერების თეორიაში ცნობილნი არიან სინონიმებად. სინონიმების ხმარება ყოველ გვარ მწერლობაში შეწყნარებული და მიღებულია. ამ საყოველთაო პრინციპით უხელმძღვანია ჩვენი კონდაკის შეგნებულ მთარგმნელს და ხშირად არამც თუ სხვა და სხვა ალაგებში, ერთსა და იმავე ლოცვაშიაც ერთისა და იმავე ცნების გამოსახატავად უხმარია სინონიმები. ამ გვარად მოქცეულა, სხვათა შორის, მთარგმელი ლიტის ლოცვაში, სადაც დიაკონი ამბობს: „მეოხებითა პატიოსანთა უსხეულთა ზეცისა ძალთა“, ხოლო მღვდელი „მეოხებითა პატიოსანთა უხორცოთა ძალთა“, აგრეთვე დიდ მშვიდობიანში წირვის დროს „წმინდისა ამის სახლისათვის, და სარწმუნოებითა, სასოებითა“, ხოლო „რომელნი ქერობინთა“—ს წინა კვერექსში „წმინდისა ამის სახლისათვის, სარწმუნოებითა, ძრძალულღვრითა“... სიტყვები „უხორცოთა და უსხეულოთა“, „სასოებითა და კრძალულებითა“ ერთი მეორის სინონიმებია, ერთსა და იმავე ცნებას გამოსთქვამენ და მათ ხმარებას ერთსა და იმავე ლოცვაში არავითარი განხეთქილებისა, არავითარი არეულობისა და დაბნევის გამოწვევა არ შეუძლიან. ყრუ სოფლის

ყრუ დედამბრაც კარგად იცის, რომ რაც უსხეულოა, ის უსათუოდ უხორცოა, რასაც სასოებით ვეკიდებით, ის კრძალულებასაც დაგვიბადებს. მოყვანილ მაგალითებში ბერძნული ტექსტი ყველგან ერთსა და იმავე ტერმინს ხმარობს, მაგრამ ეს, ალბათ, მოთხოვნილებაა თვით ბერძნული ენისა; ქართული ტექსტი კი, გადმოგვცემს რა სავსებით უცხო დედანის შინაარსს თანხმად ქართული ენის თვისებისა, ხმარობს ერთგვარი შინაარსის სხვა და სხვა ტერმინებს. ამ გვარ შენთხვევებში წუნის დადებას და არჩევანში შესვლას ალაგი არა აქვს.

1884 და 1899 წელში დაბეჭდილი კონდაკები, რა თქმა უნდა, განსხვავდებიან ერთი მეორესგან ტექსტით და ეს განსხვავება ალაგ ალაგ თვალსაჩინოა, მაგრამ ამას ოდნავაც არ უნდა შეეწუხებინა მ. ცინცაძე. თუ მას თითონ არ ჰქონდა მოცლა, უნდა თავისი ხელქვეითებისთვის ებძანებინა, რომ წინეთ დაბეჭდილი წიგნები შეესწორებინათ ბოლონდელ ნაბეჭდზე და ასეთი უბრალო საშუალება ააცდენდა მას ყოველ გვარ გაქირვებასა და უხერხულობას. პო, თუ ბოლონდელი ცვლილებები არ მოსწონს და შეცდომებად მიიჩნება მ. ცინცაძეს, ეს სხვაა, მაგრამ არა ვგონებ, რომ „მოიხსენე, უფალო, მენავენი, მოგზაურნი“.. ძველს „მოიხსენე, უფალო, მენავეთა, მოგზაურთა“-ს არ სჯობდეს.

ჩვენდა უნებურად გვერდს უნდა ჩაუაროთ საეკლესიო წიგნებიდან ამოღებულ იმ ალაგებს რომლებსაც მ. ცინცაძე წუნსა სდებს გრამატიკული განწყობილებისა და ენის მხრივ, მაგრამ შესწორებით კი არც ერთი ალაგი არ შეუსწორებია.

მიუხედავად ზემო ნათქვამისა, მამა ცინცაძეს შრომა მაინც დასაფასებელი და საგულლისხმოა, ამ შრომაში მ. ცინცაძემ გვიჩვენა სამი შესასწორებელი ალაგი და მისი მოსაზრებანი ამ ალაგების შესწორების შესახებ უეჭველად შესაწყნარებელი და შესასრულებელი არიან. მოგვმადლენის კვერქის თხოვა „ქრისტიანობითი ვლასარული“,

გვირგვინის კურთხევის ფორმულა და სიმბოლო სარწმუნოების მესამე წვერი ყოვლისავე მიზეზის გარეშე უნდა შესწორებულ იქნენ ისე, როგორც ნაჩვენები აქვს ცინცაძეს. პატივცემულ დეკანოზს, რომ შეტი ყურადღება მიექცია ამისთანა ალაგებისათვის და სრულებით არ ეთქვარა ისეთი აშკარა და გონებიანი ბაღისთვისაც მისახვედრი კორექტურული შეცდომების შესახებ, როგორც, მაგ. „დავლისა“ ნაცვლად „დაფლისა“, „ძალი“ ნაცვლად „ძვალსა“, დიდ დახმარებას გაუწევდა საეკლესიო წიგნების შესწორების საქმეს და მადლიერი ჩამომავლობა არ დაივიწყებდა მის პატიოსან შრომას.

დომიტრას შამიდაშვილი.

### გადაბრუნდა.

გადაბრუნდა ქვეყნის ჯარა,  
გაგვიმრავლა მეტიარა...  
ალთქმის ქვეყნად მისასვლელი  
დაგვიგძელდა გზა და შარა.  
გადაბრუნდა ქვეყნის ჩარხი,  
შვილები გვყავს დასაზრახი,  
ავგირიეს მონასტერი,  
წავციშალეს განაზრახი...  
ჩვენი მხარე, ჩვენი კერძი,  
მამა პაპის ნაანდერძი,  
დღეს ხელიდგან რომ გვეცლება,  
ჩვენ შევსტქერით როგორც ბეცი.  
მემამულე თვით ქართველი  
არის ბედის მადლობელი,  
ათასობით რომ გადმოყავს  
მის მამულში მოლდაველი...  
საკოდავი ჩვენი გლეხი!  
მუდამ თავს ეცემა მეხი.  
მიწა წყალი რომ ეცლება,  
სადღა უნდა დადგას ფეხი?..  
სად არის ვაფბატონები,  
მუშის მომხრე პატრონები,



მუშას რათ არ ესარჩლება?!..

ჰაი გილი, სატანები!..

შეგვირყიეს ქრისტეს სჯული,  
შეაძულეს ხალხს მამული,  
რაც რომ სათაყვანებელათ  
ყოველ ხალხს აქვს მიჩნეული ..

გავირისხეთ ასე ზენა:

რაც გვიბოძა ტკბილი ენა,  
ბევრს უკულმართს აღარა სწამსთ,  
ისე ღმერთმა შეაჩვენა.

- ვინც ზომიერ წეს-რიგს იცავს,  
მამა პაპის საფლავს ფიცავს....

მიესია უკმეხები,

საზიზღარი ენით კიცხავს...

იძახიან ვითომ ძმობას,

ახარებენ უფრო მტრობას,  
რაც რომ კაცურ გრძნობას იწვევს  
ყველაფერის უარყოფას.

მაშ რა არის მათი უნჯი,

ყველაფერი თუა ფუჭი?

აღბათ მათი სათაყვანო

ღმერთი არის მათი კუჭი.

ჩააყენე ღმერთთა რიგში,

რომ თავს მისცეს ანგარიში,

ვინც სწორე გზას ასცდენია,

ხალხს აცდენს, ყრის გასაქირში.

**რ. საჯავახელი.**

**მე ვერ ვპოვებ მოძღვარი!**

ვეძიებდი ქეშმარიტებს; მინდოდა ზეალ-  
სვლა და ღმერთთან დაკავშირება. ამისთვის  
მსურდა მენახა მოძღვარი, გზის მანათლებელი,  
მღელვარე გულის დამამშვიდებელი, დაწყულ-  
ლებულ და დამძიმებულ სულის მკურნებელი  
და ზეადმყვანელი, ზეციურ მადლის გადმომა-  
ვლინებელი, და აი ვიწყე გაცნობა სულიერ  
მწყემსთა.

ენახე ერთი მოძღვარი. მოვისმინე ეკლე-  
სიაში იმის მშვენიერი და მხურვალედ წარმოთ-  
ქმული სიტყვა სიყვარულზე, ერთი მეორეს

ღაბმარებაზე, ქველმოქმედებაზე; დავსტკბი-  
მიველ მასთან ბინაზე. ყოველიფერი მოწმო-  
ბდა, რომ იგი შეძლებული იყო. მეღაპარაკა  
მაცხოვრის სწავლაზე; მწარედ ნაღვლობდა,  
რომ ქრისტიანენი იესოს მცნებებს არ ასრუ-  
ლებენ. ვსიამოვნობდი, ვპოვე მწყემსი კეთი-  
ლი, გულში ვამბობდი. კარი გაიღო; მოსამ-  
სახურე შემოვიდა და მოახსენა: „ბატონო,  
აი იქ ჩვენ პირდაპირ ქოხში ქვრივი დედაკაცი  
რომ ცხოვრობს, გეთხოვს, კოტარამ მივსცეთ,  
ბავშვები მთელი ღღე მშვიერები არიანო“.  
„წავიდეს იქით, მე ჩემი შვილების რჩენაც  
მეყოფა, და ისინიც კიდე მე ავიკიდო“?  
გაისმა მრისხანე ხმა სულიერ მამისა. ოხ, ღმე-  
რთო ჩემო, როგორ ვცდებოდი, ქრისტე  
ამასთან არა ყოფილა,—ვსტკვი მე და გულ-  
ნატკენი გამოვემშვიდობე. ენახე მეორე  
მოძღვარი. წირვაზე მიველ; კრძალულებით  
მღვდელმოქმედებდა; სიტყვებს გრძნობიერად  
წარმოსტკვამდა; მსმენელთ გულში სასიკებას  
უღვიძებდა. ახლა კი ენახე მადლმოცული  
მწყემსი; იგი განჰკურნებს და დააამებს ჩემს  
აღშფოთებულ სულს, ვსტკვი და წაველ მას-  
თან ბინაზე. კარგად მიმიღო. მეღაპარაკა  
ჯერ ცხონებაზე, მერე ამ სოფლის უკულმა-  
რთობაზე, კერძოდ, უსამართლობაზე „ბევრი,  
ბევრი უსამართლობა ხდება ამ ქვეყანაზე,  
სტკვა მან, მაგალითად, მეც უსამარ-  
თლოდ მექცევიან. არ იქნა, ვერ  
ვსიამოვნე მთავრობას... ჩემი ტოლები ახლა  
ყველა დეკანოზები არიან, და მე ჯერ ჯვარიც  
არა მაქვს. მცირე მრევლში ვარ; შემოსავალი  
ნაკლები მაქვს. შვილები სასწავლებელში  
მყავს, და ხარჯებს ვერ აუღივარ. რამდენჯერ  
ვითხოვე უკეთეს მრევლში გადაყვანა, მაგრამ  
არაფერი მეღირსა, ქრთამებს ვერ ვაძლევ“.  
„ეხ, ამაშიც მოვსტყუვდი,—ვსტკვი მე და  
გულდაკოდილი გამოვეთხოვე. ენახე მესამე  
მოძღვარი. შეკრებულობაში მოვისმინე მისი  
აღფთოვანებული, მქვერმეტყველური ლაპარაკი  
სამღვდელოების წმიდა მოვალეობაზე.  
„მღვდელი ერისთვის არის, მას უნდა მსახუ-  
რებდეს, მთელ თვისს ძალღონეს მას უნდა  
ახმარდეს და იმის კეთილ მდგომარეობისთვის

თავს უნდა სწირავდეს, ამბობდა იგი. „სწორედ რო ეს უნდა იყოს მწყემსი კეთილი, — ვუთხარი მე ჩემს მეზობლებს, — ნეტა იმ სამრევლოს, სადაც იგი მღვდლობს.“ „არა, კაცო, ცარიელი სიტყვაა; ლაქლაქი უყვარს; ისე კი არასფრად ვარგა; მრევლი მიტოვებული ჰყავს და ბევრი უზიარებელი და უნათლავი კვდება.“ დავლონდი. ვნახე მეოთხე მოძღვარი; სახეზე ეტყობა ფიქრი, ზრუნვა, შრომის-მოყვარეობა; მხოლოდ მისი მოქმედება მის ოჯახს იქით არ მიდის, როგორ არჩინოს ცოლშვილი, როგორ დაზარდოს შვილები, როგორ შეიძინოს ქონება, — აი მთელი პროგრამა იმისი ცხოვრებისა. ხოლო თუ როგორ დამწყოსოს სულიერნი ცხოვარნი თვისნი, ამაზე ფიქრით თავს არ იწუხებს, ეს მას არ ესმის. ერთ ადგილას რაოდენიმე მღვდელი თავმოყრილი იყო: ცხარედ ბაასობდენ. იქნება მათ შორის ვნახო მწყემსი კეთილი — მეთქი და მიველ იმათთან. „რის ძმობა, რა საჭიროა, ოცნებობაა, მხოლოდ თავის გამოჩენისთვის შერება, კაპეკსაც არ შევსწირავ,“ — გაიძახოდა ერთი მღვდელი. ლაპარაკი ჰქონდათ განმანათლებელ საზოგადოების დაარსების შესახებ. ნუ თუ ამისთანა სიმპატიური დაწესებულების წინააღმდეგია ეს მღვდელი — მეთქი? შემდეგ მამებმა სხვა საგნებზე განაგრძეს ბაასი. არც ერთს იმათაგანს სულიერობა, საზოგადო საქმეებზე წრფელი და მხურვალე მზრუნველობა არ ემჩნეოდა. ერთ მღვდელზე მითხრეს, აი ის კარგი, განათლებული, პატიოსანი მღვდელი — აო. გავეშურე გასაცნობად. ბევრი მებაასა და სულ ამ ქვეყნიურ საგნებზე. სადილზე მიმიწვია, საქმელი სახსნილო იყო, თუმცა მარხვა დღე იყო. დამეც იქ დავრჩი; ნაშუალამევეს გამომედიოდა; მღვდელის საწოლ ოთახიდან შემომესმა მტლაში-მტლუში... ქვრივი კი იყუ. მიველ ერთ მოძღვართან; შევხედე და რა დავინახე? — ჩასუქებულია, თვალები დასიებულია; ცხვირი გაწითლებია; მისი დარღია, მუცელი გაიძლოს, ღვინით აივსოს, გამხიარულდეს, სიმღერა შემოსძახოს, დრო გაატაროს. უკანასკნელად ვსტადე. შეველ ერთს ეკლე-

სიაში; იქნება იქ ვნახო მწყემსი კეთილი-მეთქი. საკურთხეველში დავდექი. წირვას მღვდელი უსულუგულოდ ასრულებდა; წმ. საიდუმლოს მიღების დროს სხვებს ემუსაიფებოდა, იცინოდა კიდევ. ეს კი ვერ მოვითმინე. არა, ძმებო, ეს არ ვარგა! როგორ დაგვიხუჭია თვალები! ამისთანა სამღვდელოება თავზე როგორ დავვისვია! ხმა ამოვიღოთ; მოვითხოვოთ სამღვდელოების განახლება. ვიყოლიოთ მართლა მოძღვარნი, მართლა სასუფეველის გზის მაჩვენებელნი, და არა გზის ამრევენი; მართლა სულიერნი მამანი, და არა მიწიერნი სამსახურის კაცნი; მართლა კეთილ ცხოვრებისანნი, და არა მძიმე ცოდვებით დატვირთულები. მაშ, შევუდგეთ სამღვდელოების გასუფთავებას! ხმა... ხმა...! ეკლესიას მარტო მღვდელნი კი არ შეადგენენ, არამედ ერნიცა.

რამპოლლა.

სამღვდელოების ავ-კარგი.

(წერილი მესამე)

თანამედროვე ეკონომიური მეცნიერების შეხედულობით „პური არსობისა“ პირველ ხარისხოვანი კითხვაა ადამიანის ცხოვრებაში. ამიტომაც არის, რომ დღეს ყოველი შეგნებული, თუ შეუგნებელი, მზათ არის მისთვის ჯვარს ეცვას. არც ჩვენ ავხირდებით და ვიტყვით, რომ ეს კითხვა მართლა დიდ-მნიშვნელოვანია კაცის ცხოვრებაში და, თუ პირველი არა, მეორე ადგილი მაინც უნდა ვაკუთვნოთ მას. უმისოდ ცხოვრება შეუძლებელია ამ წუთ სცფელში, და რაც უნდა ვეცადოთ, გვერდს ვერ შეუვლით, სამღვდელოებაც, როგორც ცოცხალ ადამიანთა კრებული, რა თქმა უნდა, სავსებით ემორჩილება ამ ბუნების აუცილებელ მოთხოვნილებას და ვვონებ, ამაში არც არავინ ამტყუნებს მას და ვერც გაბედავს ამაზე ცილობას. მხოლოდ როცა

საგანს მეორე მხრიდან უყურებენ, კითხვა გადააქვთ მეტნაკლებობაზე და ზედ-მეტ შემოსავალზე, სამღველოების ფუფუნებით ცხოვრებაზე და აქ შეხედულობა ირევა. სინამდვილესა და მოჩვენებულს ერთი მეორესგან ვეღარ არჩევენ. სამღველოებას ბრალს სდებენ, სამღველოებას ასამართლებენ. იგი ცნობილია დღეს ხალხის თვალში სხვადასხვა სამარცხვინო და სათაქილო ეპიტეტებით, რომელთა აქ ჩამოთვლა მკითხველის შეურაცხყოფად მიგვაჩნია. დიახ, დღეს ცხვირ-მოუხოცელი ბავშვიც არ ერიდება სამღველოების გაკილვას და პირში შემოგძახის: „ოდელია რამაშა, მღვედელს არ ვაძლევთ დრამასა!“ რატომაო, რომ ჰკითხოთ, გიპასუხებს: „მკვდარი მისია და ცოცხალი; დრამა კიდევ რაღად უნდაო“.

აი მთავარი ძარღვი სამღველოების რჩენის შესახებ მსჯელობისა. აი საბუთი სამღველოების ყბად აღებისა. მაგრამ ამ საბუთს რომ კბილი კარგად გაუშინჯოთ, მალე დავრწმუნდებით, რომ ეს შეხედულება შემცდარია და ჩირადაც არა ღირს.

სამღველოების რჩენის საქმე იმ თავიდან ისეა დაყენებული, რომ მართლაც უხერხულ მდგომარეობაში აგდებს მას და ამით ორგვარ-ტანჯვას განაცდევინებს; თვითონაც ნივთიერად უზრუნველყოფილი არ არის და ზნეობრივადაც დაჩაგრული და შეურაცხყოფილია. ამას ყველა ხედავს; ხალხიც, მთავრობაც და სამღველოებაც, მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამოსვლაზე ზრუნვას ვერა ვხედავთ და თუ ვხედავთ, იგი ისეთის კუს ნაბიჯით მიდის წინ, რომ კაი ძალი ხანი გაივლის, სანამ სამღველოებას უსაყვედურო ლუკმა გაუჩდებოდეს და მუღამ სხვის ხელში შემაცქერალი არ იქნებოდეს. ეს მომავლის საქმეა. მაგრამ რა იქნება მომავალში, ამას მომავალივე გვეტყვის და გვიჩვენებს, მხოლოდ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ სამღველოებამ თავის მდგომარეობის გაუმჯობესობაზე თვითონ არ იზრუნვა, თვითონ არ მოკიდა მაგრად ხელი და არ მიიზიდა მთავრობის და ხალხის ყურადღება, ისე არაფერი გაკეთდება და არ გაუმჯობესდება. ეს გამოც-

დილებით ვიცით და ამის გაკვეთილი თვალწინ გვიდგია. დავანებოთ ამას თავი და ახლავნახოთ, რით ირჩენდა თავს სამღველოება უწინ და რით ირჩენს თავს ახლა.

სამწუხაროთ წარსულის შესახებ ისეთი ბუნდოვანი ცნობები გვაქვს ხელში, რომ ძნელია ცხადათ და სავსებით იმის გამორკვევა, რა უადგენდა სამღველოების შემოსავალს და რით ინახავდა იგი თავს იმ დროს, როცა, ვიტყვით მოხვეის სიტყვებით, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყრდნეს“.

საფიქრებელია, რომ უმთავრესი წყარო სამღველოების შემოსავლისა იყო მილიონებათ ღირებული საეკლესიო და სამონასტრო მამულები, რომელთაც ისე გულუხვით სწირავდნენ ჩვენი მეფეები ეკლესიებსა და მონასტრებს, ეს მამულები არჩენდნენ სამღველოებას და მის ოჯახს, სხვა და სხვა შემოწირულებებთან ერთად, რასაკვირველია. შემოწირულებაც მაშინ დედ დროში გულ-უხვი იყო ყველასაგან. მეფე, თავადი და აზნაური ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ შეწირულების გაღებაში „თავისა თვისისა სადღერგძელოთ და მიცვალებულთა სულისა საოხად“. ამ გვარი შემოწირულებანი ისე მტკიცე ჩვეულებად ჰქონიათ გადაქცეული, რომ სამღველოება პირდაპირ ითხოვდა შემომწირველთაგან შეწირულების გაღებას, როგორც სავალდებულო რამის გადახდას. აი, რას გვეუბნება ამის შესახებ ერთი ძველი ხელთნაწერი ბარათი, რომელსაც ჩვენ წავაწყდით ძველ მამიჩემის ნაქონ ქაღალდებში. ეს ბარათი ფრიად საყურადღებოთ მიგვაჩნია მკითხველისათვის და დამახასიათებელია ძველი დროისა, ამიტომ მოგვყავს იგი აქ სიტყვა-სიტყვით: „ქ. უგანათლებულესო და ქრისტეს მოყვარეო, სინდისის იმერთა დედოფალო და უფალო ხელმწიფეო, უმოწყალნსო ჩვენო ბატონო! განძლიერებისა თქვენისა მარად მლოცველი,

\*) იხ. „ზინ. საქმეები“ № 15 1908 წ. ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ ჩვენ მიერ განზრახულ წერილების ბეჭედა ასე დაგვიგვიანდა სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო.

ხუროთაჯიშა!

ჩხარის დეკანოზები, ერთობით მღვდელნი, ქრისტეს მიერ ლოცვას მოგახსენებთ და განძლიერებასა თქვენსა წმიდის გიორგის წინაშე ვლოცავთ, მერმეთ ჩემო ხელმწიფე, მოხსენებას დიდათ ვიშიშვით, მაგრამ თქვენის მოწყალებისაგან ჩვეულება არს ამ ეკლესიას ხარი შამოწირო და ხოლმე თქვენდა სალოცულოთ და სადღერგძელოთ გიორგობასა შენი წმიდის გიორგის სიყვარულისათვის, თქვენგან ეს მეტად გვიკვირს: ორიოდ წელიწადი არს, აღარ გიბოძებიათ. ამის უფრო ღმერთმან ნუ გგვიკვიროს, რომ თქვენი მოწყალება, ჩვეულებრივ ეს საქმე აღარ ინებოთ. შენი მოწყალება ქვეყანაზე გადაფენილი არს, სამღვდელოსა ზედა და საეროსა, და ჩვენც ვევედრებით რჩეულსა მაგას ღვთის მსახურებასა, მარად თქვენი მწირველი და მლოცველი გახლავართ და ამ გიორგობას ერთობით დეკანოზები, მღვდლები და მთავარი თქვენთვის ვწირავთ და შესაწირი ხარი გვიბოძეთ და თქვენდა მლოცველად დაგვადგინე. მოხსენებისათვის ნუ გავვიწყრები, ყოველთა დედუფალო და ხელმწიფეო უფალო“!

ხელნაწერი ამით თავდება და ჩვენს ზემოდ გამოთქმულს აზრს სრულებით ამტკიცებს. არა თუ მეფენი და დედუფალნი, არამედ თავადი და აზნაურიც ასე იქცეოდა და ბევრი მათგანი უზრუნველყოფდა კარის ეკლესიებს თავისი კრებულებით. დღესაც არის დარჩენილი ხალხში ეს ჩვეულება და, ვინ იცის, საიდგან სად აგზაფიან შესაწირავად ხარს, მოზვერს, ცხვარს და სხვ. უწინ ეს შეწირული ცხოველები სამღვთელოების სარჩოთ იყო დანიშნული, ხოლო ეკლესიას ხმარდებოდა მარტო შემონაწირი სანთელი და, თუ რამე გადარჩებოდა, იმასაც მღვდელი ხმარობდა თავის საჭიროებისათვის. არც ეკლესიები იყვნენ ისე დარიბ-დატაკნი, როგორც ზოგან დღეს, ძვირფასი თვლების შეწირვა, ხატების ოქროვერცხლით შექედვა, და ოქრო მკედრით სამღვდელო შესამოსების შემოსვა სასახელოთ იყო მიჩენილი. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს „ქართლის ბედი“ უკუღმა დატრიალდა და ყოველი ჩვენი კეთილიც თან წარიხცოა.

სხვა სიკეთესთან ერთად თანდათან შეიცვალა სამღვდელოების საზრდოობის საქმეც. რუსების საქართველოში შემოსვლა გამანადგურებელი შეიქმნა ჩვენი ზნე ჩვეულებისა. ის რაც ხალხს უწინ წმიდათ მიაჩნდა და მოწიწებით თაყვანს სცემდა, შეუბღალეს, მისი ზნე ხასიათი შეურყვნეს, ენა შეუღალეს. გაიხსენოთ მარტო ერთი შემთხვევა გენათლისა და ქუთათლისა, რომელიც წირვის დროს ძალად გამოთორიეს გარეთ და შებორკილი ცემატყეპით გაუყენეს ცივი ქვეყნისაკენ გზას. ამან და სხვა ამისთანა შემთხვევებმა გული აუტრუა ხალხს სარწმუნოებაზე და ეკლესიაზე. აქედან იწყება სამღვდელოების დაცემის ხანაც. ეკლესიების მამულებს მოდავეები გაუჩლენ დი აქეთ იქეთგან გლეჯა დაუწყეს. შეწირვის მაგიერად, ზოგან იქეთ ართმევდენ ეკლესიებს ფულებს და და ძვირფას სამკაულებს. სამღვდელოებასაც აღმაცერად დაუწყეს ყურება და მარტო საჭიროების დროს თუ გაიხსენებდნენ მიიწვევდენ, თორემ ისი მისას არც ავს კითხულობდა კაცი და არც კარგს; არც სწავლას ეძებდნენ მისას და არც უსწავლელობას. ვინც ქრისტიანულ წესების ასრულებას არ შეიძლება, ყველა ხუცობდა. საზღვდელოება გაღატაკდა და მარტო დაწეწილი ანიფორითღა განირჩეოდა გლეხობისაგან. იგი უმთავრესად ფიზიკური შრომით ირჩენდა თავს და თავის საზღოობის იმედს ოჯახზე ამყარებდა. არა ერთი და ორი დღესაც იმის მომსწრე, რომ მღვდელი ქალამნებით სწირავდა მარტო, უმედავითნოდ და რასაც მრევლი მოწვალეებასავით გადაუგდებდა, მღვდელიც იმას ჯერდებოდა. საინტერესოა დავით მიტროპოლიტისა და გერმანე ეპისკოპოსის დროის სამღვდელოების მდგომარეობას ერთის მხრით უსწავლელი, გაუნათლებელი სამღვდელოება და მეორეს მხრით სარწმუნოებასა და მის წესებზე გულ ატრუებული ხალხი. ამ გვარად ეკლესიებიც და მონასტრებიც უბატრანოდ დარჩენ და ზოგი მათგანი დაიხურა კიდევ სამუდამად. ამ გვარ პირობებში მეტის მოთხოვნა, რასაც ხალხი სამღვდელოე-

ბას აძლევდა, შეუძლებელიც იყო, მღვდელიც  
 კმაყოფილი იყო თავის ბედით. მაგრამ მას  
 ბაღე გაუტანდნ ახალი მოთხოვნებიანი. ახალ-  
 აღმა ცხოვრებამ თავისი მოითხოვა და სამ-  
 ღვდელივებაც უნდა გაყოლოდა მას უკან,  
 Fanius.  
 (შემდეგი იქნება).

# + დამლუჯავი საქსიელი.

ზნეობრივი სიმაღლე. სულიერი უმანკობა—  
 სიწმიდე, — სიმშვიდე სიმართლე, სთინობა, სიუვა-  
 რული, — ძმობა, ერთობა, — კეთილი ურთი ერთობა  
 აღამანთა ცხოვრებაში, — ამ სიტუებში გამოხატუ-  
 ლი მღაღი აზრები არის უმთავრესი თემა, მაც-  
 ხორის ზეციურ მოძღვრებისა, უკვდავი დიდება  
 მის მიერ შექმნილ რჯულისა და ამ რჯულის მსა-  
 ხურის ეკლესიისა. რომელი ერთი შეგნებულაა მაც-  
 ხორის მოძღვრების დედა აზრს და ახორციელებს  
 თავის ცხოვრებაში, ის ერთი ყოველთვის წინ მიდის,  
 იმარჯვებს არსებობისათვის ბრძოლაში, მაღალ  
 სიფერაში სდგას როგორც სულიერი მხრით, მე-  
 რვე ხორციელადაც. და მისი არსებობაც ამ ქვე-  
 ნიურ მსოფლიოში ნეტარი და უკვდავია. ხოლო  
 რომელი ერთი მოკლებულაა მაცხოვრის მგნების  
 შეგნებას, ანუ უარს ჭეფის მას, მისი არსებობა ამ  
 ქვეყნადაც, რასაკვირველია, ყოველ კვარად უნუბ-  
 შო და ხანმოკლეა, ხოლო მეორე ზეციურ მსოფ-  
 ლიოში მათი არსებობის შესახებ თქმაც ხომ მე-  
 ტია... ეს რომ ასეა ამის დამამტკიცებელი საბუ-  
 თების აღნუსხვა ჩემი აზრით შეგნებულ მკითხე-  
 ლის წინაშე შეტად მიმანია. მაგრამ თუ მაინცა  
 და მაინც ისურვებს ვინმე და მოკვთხვის, ჩვენ  
 სხვა ხალხების ისტორიიდან არ გვჭირდება ჩვენი  
 თქმულის დამამტკიცებელ დოკუმენტების სესხება,  
 ჩვენი განუდიდ ცხოვრების ისტორიაშიც ბლომად  
 გვაქვს ამის დამამტკიცებელი ფაქტები. პირველი

დოკუმენტი: დაეით აღმაშენებლის და თამარ მწა-  
 თობის მეფობის ხანა ჩვენი ერის ისტორიაში რა-  
 რას დროთ არის აღიარებული და სრული ჭეშმა-  
 რიტებითაც. ამ ხანაში ქართველი ერთი თავის ზო-  
 ლიტეკური სოციალური და მატერიალური მხრით  
 ფოთა-ცხოვრების გეგმით ძალიან მაღალ სიფერაში  
 იდგა. თითქმის უძვეველი გოლიათი იყო, რე-  
 გორც შინ, ისე გარეთ, მისი კულტურა აღუყავ-  
 ბული და სანატრელი მეზობელ სხვა ტომის ხალ-  
 ხთათვის. ამ ბედნიერ პერიოდში რიცხვით მცირე  
 ქართველ ერთი, თავზარს სცემდა რიცხვით ათჯელ  
 და ოცჯელ მასე მეტ ერს, რომელიც კი კაბედაუ-  
 და მის მტრობას, უსამართლოდ ხელის შეხებას. —  
 რა იყო ასეთი ბედნიერი ფოთა-მდგომარეობის შემ-  
 ქნელი. მშობელი და აღმზრდელი? რაღა კითხვა  
 უნდა ის სამღვრთო ფაქტები, რომ იმ დროის  
 ქართველ ერს შეგნებული და უსისხლხორცებული  
 ჭქონდა დიდიდამ პატარამდის, ჩვენი რჯულის მამათ-  
 მთავრის მაცხოვრის მოძღვრების დედა იდეალი,  
 ე. ი. ძმობა, ერთობა, ურთ-ერთის გულწრფელი  
 სიუვარული, ჭიკში და ლხინში ქრისტიანული  
 შეურეველი ძმური აჯახიშვილური ერთობა ერის  
 ყველა წოდების წარმომადგენელთა. აა ეს იყო  
 მათი ბედნიერი ფოთა მდგომარეობის მშობელი დე-  
 და. აა ეს იყო ღვთისაგან ნაკურთხი და კაცთაგან  
 ქებულ-დიდებული ელემენტი რაქრას საუკუნეში  
 მცხოვრებ ქართველი ხალხის დიდებულ მღაღი-  
 კურ და სოციალურ შენობისა.  
 ესეა მეორე დოკუმენტი: როდესაც ქართველ-  
 მა ნაცამ მისდა საბუდურად უარჯუო ზემოსხენე-  
 ბულ მცნებაზე დამუარებული აზრი და საქციელი,  
 და ძმობა-ერთობის წმიდა ტახტზე აღმართა  
 ძმათა შორის მტრობის, შურისძიების პირადი  
 ინტერესების თავუანის მცემელი დროში, — როდეს-  
 საც ტერიტორიით პატარა და მკვიდრთა რიცხვით  
 მცირე საქართველო და ქართველი ერთი გაყო რა-  
 მადენიშე საშეუოდ და სამთავრობად, ქართველი  
 ერის ერთეული სიცოცხლის სულთა ბრძოლის ჟა-  
 მაც სწორეთ მაშინ დადგა. ქართლ-კახეთის  
 შეფენი თავის ქვეშევრდომებით ებრძოდენ ერთი-  
 მუარეს და იმერეთის შეფეს და მის ქვეშევრდომს  
 იმერლებს; იმერლები, ამერლებს; მეგრელების  
 მთავარი თავის სამფლობელო შეტრელებით გურიის  
 მთავარსა და გურულებს; აფხაზეთის, თავის აფხა-

ზებით შეგროვებისა და გურიის მიწობულებს და მათ ქვეშევრდობებს, იმურეთის მეფე თავის იმურ-ლებით გურიისა და სამეგრელოს; — სვანეთის მიწობული თავის სვანებით შეგროვებისა და შეგროვებს და სხვა. უარყოფა და დადებული პრინციპი ერთგულ ერთობისა, ერთსულობისა და ერთგულობისა, დარღვევა რა ერთგულ ერთობის შენობის საძირკველი, დერდენ ერთი ოჯახის შვილი ძმები ერთი მეორის სისხლს, და აზნაირად უსწობდენ, როგორც თავიანთ თავს, ისე თავის სამშობლო ქვეყნას დამოუკიდებელ არსებობისა და ნაცინაზურ სიტყვას დასა დას. დახ, ბავრტილებს დინისტიის წევრთა გონების თვლით მათს მხედველობის შემოკლება, გვართა შორის დავა და ჩხუბი, ერისთავთა თავისუფალი ეტოპისტური ვინჯლობა, მეფეთა და მთავრეთა ურთიერთ შორის ადგრზნებელი მტრობა და ბრძოლა, შეიქმნა უმთავრესი საფუძველი ქართველი ერის პოლიტიკურად დასუსტებისა და დაცემისა. — დამოსავლეთის მხრით ისარგებლა საქართველოს აზნაირ დანაწილებით და ერთი მეორეზე ამხედრებით სპარსელებსა და რამდენჯერმე გაქვლეს ფეხით დამოსავლეთის საქართველო და მისი მკვიდრნი, დასავლეთით, რასკვირველია, ოსმალებსაც ხელთ იტყეს სანატრელი დრო; მრავალჯერ აწიოკებსა და განადგურებს გარდა მოსჭრეს და წაართვის დასავლეთ საქართველოს რამდენიმე საუკეთესო ნაწილი თვისის ტერიტორიისა, რომლის მკვიდრნი, როგორც სარწმუნოებით, ისე ერთგული უფრო ერთ სრულიად გადაგვარდენ, მოსწყდენ, დაეკარგენ თავიანთ გვარ-ტომობით მძიმე დანაკრებ ქართველებს. — რასკვირველია, ამგვარ ჭკუიანურ პოლიტიკის მიხედვებით, როგორც ხატარა სამთავროების მიწობულებს, ისე შეფუბებს ვეღარ შეინახონ თვითარსებობის გამაგრებელი ძალადან და ერთი მეორის მიუღებელი შესაბრალისად ადიგუნ დედაშიწის ზურგიდამ და შთაბრუნეს ისტორიის დრმა სმარეს. ხოლო დანუ გამცვლილი, ერთი მეორეზე გადამტურებული, იმედ მიხდილი ერთ კი გადავიდა ნებისთნ თუ უნებლიეთ რუსეთის თეთმურებულ ბიუროკრატის მთავრელობის ქვეშ, რომლითაც გამცესა თუ სამუდამოდ არა, ხანგრძლივად მანც თავის ერთგულ დამოუკიდებელ თვითარსებობის გამომეტყველ მთავარ ელემენტებს

და მოქალაქეობრივ თავისუფლებას. — ამ მორი დოკუმენტის მეტი რაღა სჭირთა რომ წარმოვადგინოთ, რადგან არა გვგონია, ისეთი ჭოგური მკითხველი შეგვხვდეს, რომ მეტი მოითხოვოს. მაშასადამე ასეთი ისტორიული დოკუმენტები ევკელეთის აღბეჭდილი უნდა ჰქონდეს თავის მუხბიურების კაბადონზე ჩვენი ხალხის მოწინავე და მესვეურ კლასს, რათა თავიდან აცადონ მომავალში მანც ჩვენ ხალხს ის შეცდამები, რომელსაც იგი გათახსირებისა და დაღუპვის წრემდის მიუყვანია, მაგრამ ჩვენი ხალხის სწავლად ეს ასე არ ხდება: უმეტესი მთავანი წასულს არ უყვირდებიან, ისტორიული დოკუმენტებით სარგებლობას არ კადრულობენ, თავის საკუთარი თავი, თავის ფინტისის ნაშობი აზრი მანხათ ჩვენი უფველ გვარად რეგრესის გზაზე დამდვარ, უფველ გვარ ხალხსურ უფლებას მოკლებულ ხალხის მკვდრეთით აღმადგენელ წამლად... გადავიდეთ ესლა, ჩემო მკითხველო, ამ უანასნელ ჩვენ შენიშვნის დამომომებულ საუთხე: დაწერო თუ არა რუსეთში ეკრეთ წოდებული განმათავისუფლებულ მოძრაობა, აღმამლა თუ არა ხმა რუსეთის ერმა არსებულ თავისუფლების შემხუთველ რეჟიმის წინააღმდეგ, ამ დიდ პოლიტიკურ მომენტში ნაცია უნდა თამამად წარმდგარიყო თავის ისტორიული დოკუმენტებით და კანონიერი მოთხოვნილებით განმათავისუფლებულ მოძრაობის პოპილაცზე. ამ დიადი როლის დირსეულად შესრულებას კი ქართველი ხალხი, რასკვირველია, მხოლოდ იმ პირობებში შეიძლება თუ უფველი წორება ქართველი ერისა ერთ დროშის ქვეშ მოაერთიდა თავს. ძმურად შეეკავშირდებოდენ ჭირში და ღზინში, გამარჯვებისა და დამარცხებაში ერთი მეორის განურელი ძმა და ამხანაგი იქნებოდნენ და სხვა.. დახ, ერთობა უფველ გვარ საქმეში, უფველ გვარ ბრძოლაში ძველამოსილობის გამარჯვების მომნიჭებელი იარაღია. მაშასადამე ევკლაცზე უფრო სჭირთა განმათავისუფლებულ მოძრაობის პერიოდში ჩვენი ხალხისთვის ამ იარაღის ქონება იყო. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ დიად ისტორიულ მომენტშიაც ეს პრინციპი უარყოფილ იქმნა.

# პროვინცია.

ს. ოყურეში. ვაი ჩენი ბრალი, რა დროს მოვეწვარი! უმჯობესი იყო ოცი-ოცდაათის წლის წინეთ მეორეთ მოსვლას ან წარღვნას დავსწრებოდით. თანდათანობით გავარჯიშებულმა უკუღმართობამ ასე შეგვიჩეია, რომ ქვეყანა რომ დაიქცეს სიცილ-ხუმრობას დავიწყებთ. გასაოცარი ამბავი მაქვს სათქმელად, მაგრამ სულის და გულის მღელვარებით სიტყვა ვერ მომიფიქრია დასაწყებათ. ოყურეშის ეკლესია ავაზაკებმა გატეხეს და წმიდა გიორგის ორი დიდი ხატო გატყავეს, ეს სიტყვა მხალტე სათქმელია, მაგრამ ამ წმიდანებზე ისეთი შეუსაბამოა, როგორც ამას წინანდელი „ძირს ნიკოლოზია“. ოყურეშის წმიდის გიორგის „ორი ძმანი“ ხატები ზედ წარწერით: „ხვამლის წმიდა გიორგი“ მრთელს ლეჩხუმში არხეოლოგიური ძეგლი იყო, წარსულ საუკუნოების ქმნილება მეფე-დადიანების დროისა და წარწერილობაც მრავალი ქონდათ ხუცური ძნელი გამოსაცნობი ქარაგმით. სისქე სიმაღლე სრული კაცის ქონდათ, იყვენ შექედლინი წმინდა ხასი ძველებური ვეცხლით. ასე რომ ხატები ნახევრობით წააგავდენ ქანდაკებას. მრავალი ძვირფასი თვლები ამკობდნენ მათს წელს, კისერს, გულს და სხვ შეხედულობაც ქონდათ მკაცრი. მლოცველნი დიდის შიშით და კრძალოვით ძლივს ბედავდენ ფეხებზედ მთხვევას. მგონი, ნამდვილ წმიდა მოწამეს არც კი უქნია იმდენი სასწაული ხორციელად რამდენი სასწაულებიც ჩვენ თანამედროვე ხალხს ახსოვს ნახული და გაგონილი ამ სატებზე. ამიტომ მრავალი მლოცველი არა თუ მარტო ლეჩხუმიდან, არამედ იმერეთიდან, ოდიშიდან, რაჭიდან და სხვ. მოდიოდენ შემოწირულობით. ამ ხატებზე გარდაცემულს (დაწყეულს), შვილითი შვილამდე არ გაუხარია. გვალვის დროს ერთს ან ორივე ხატებს დიდი პროცესიით წავასვენებდით ხვამლის მთაზედ, სადაც წინა საუკუნოებში ყოფილა ეკლესია და ეს ხატებიც მის კუთვნილებას შეადგენდენ, როგორც სჩანდა ზედ წარწერით აქ დავასვენებდით ნასახტრზე ხატებს და ლიტანიით მოღებნას გარდავიხდიდით უწვიმრობაზედ. სასწაულს ცოცხლად ვნახულობდით. ძლივს მოვასწრებდით მოღებნას, მოიღრუბლავდა, ატყდებოდა ქარი, ელვა-ქექა და დაასხამდა წვიმას. ხალხი მიიფანტ-მოიფანტებოდა კლდეების ქვაბებში თავშესაფარად. და ხშირად თელი დაშე აქ გაუთევიით ქება-დიდებას გლობით. მრავალი სხვა სასწაულები მოუხდენია ამ წმიდა ხატებს.

გამონაკლის შეადგენს წარსული ზაფხული, როდესაც ჩვეულებისამებრ წავასვენეთ ხატები მთაზედ, მაგრამ წვიმა არ გვედირსა და ესრეთს ხალხის იმედს და საუნჯეს ღღეს თხასავით ტყავი გააძვრეს და თვალები დასთხარეს. დარჩა გატყაული ფიცრები. კითხვა: ვინ იყო ეს ბოროტი სული? ვისმა ცივმა ხელმა გაბედა მათი ჯალათური შეტება? მაგ. ბრალდება ორ ახლობელ სოფლების მღვდლის შვილის-შვილებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის კურსოვნიკებს ჭახლა სამრევლო შკოლების მასწავლებლებს. ესრეთ ნიდაგზედ მდგომი ადამიანი დიდს იმედს უნდაგვიქაღდეს ზნეობით და სარწმუნოების მხრით მაინც, მარტო სამღვდლო საეკლასიო მოსამსახურის ოჯახის შვილს დაბადებიდან ესისხლ-ხორცება საღმრთო საგნები და კრძალოვა; შემდეგი აღზრდა სასულიერო ასპარეზისთვის კიდევ გარდამეტია. დიხ ეს ორი გმირი მათის ამხანაგებით ცაგერის ციხეში ბრძანდებიან დღეს და სტრაჟნიკების ძალდატანებით თანდათან აღიარებენ დანაშაულობას, მაგრამ ხატების ნაცარცივი ჯერ არსად სჩანს, ალბად შორს გადუკარგავთ ხელმიუწლომელ ალაგს. მაგრამ იმედია, ყველაფერი აიხსნება შემდეგში ბატონი პომოშნიკის მახარაძის მაცადინობით, რომელმაც დიდი შრომა და დევნულება გასწია ამ საქმეზედ და იმედია საქმის დაბოლოებამდის ენერგიულად თვალყურს ადევნებს სიბრუნდ—სიმაართლეს. ხალხი, არა თუ მარტო ამ ეკლესიის შემავალნი, არამედ მრთელი ვეზდის, გაოცებული არის ასეთს უებარ ცარცვაზედ. ბევრი გულით სწუხს, ზოგნი მეორეთ მოსვლას ელოდებიან და ზოგნი შანის გებით ჯვარცმული ავაზაკივით საყვედურობენ: „თუ ძლიერება ქონდათ, რათ დაანებეს თავი გა“

ნებდით ნასახტრზე ხატებს და ლიტანიით მოღებნას გარდავიხდიდით უწვიმრობაზედ. სასწაულს ცოცხლად ვნახულობდით. ძლივს მოვასწრებდით მოღებნას, მოიღრუბლავდა, ატყდებოდა ქარი, ელვა-ქექა და დაასხამდა წვიმას. ხალხი მიიფანტ-მოიფანტებოდა კლდეების ქვაბებში თავშესაფარად. და ხშირად თელი დაშე აქ გაუთევიით ქება-დიდებას გლობით. მრავალი სხვა სასწაულები მოუხდენია ამ წმიდა ხატებს.

საქართველად ავზაკებსო“ და სხვ. წირვა-ლოცვა აღარ სრულდება ამ ეკლესიაში; მრევლი მგლოვიარეთ დასტირის თავზედ გატრეცილ ხატებს.

მღ. ა. გოლეტიანი.

#### შეცთომათა გასწორება:

1909 წ. № 36. გვ. 13, საჭიროც აისუნდა იყოს რასაზიროც არას. იქვე გვ. 14. ჰარაკისათვის—ჰასაკისათვის

— გვადღევინებს—გვასხნევინებს № 37.  
გვ. 13. ვწყრებოდი—ვაწყრებოდი  
გამოთქმული—გამოუთქმელი 1910 წ.  
№ 2. გვ. 10, ცოცხალი—წმიდა  
გვ. 11, განათლებისა—განათლებისა,  
— ნაკვეთებში—ნაკვეთებში  
— თომელიმე—რომელიმე  
№ 3. გვ. 15. გამოთქმული—გამოუთქმელი  
რედაქტორი, მღვდელი სიმონ მხმდლიძე  
გამომცემელი იოსებ ლიშავა.

## Открыта подписка

на ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ журналъ

**„ВЕСЬ МІРЪ“** въ 1910 году.

Журналъ издается при участіи лучшихъ литературныхъ и художественныхъ силъ—по типу иностранныхъ литературныхъ еженедѣльниковъ.

По богатству и разнообразію матерьяла „ВЕСЬ МІРЪ“ является первымъ въ Россіи иллюстрированнымъ еженедѣльникомъ.

Въ программѣ журнала все отдѣлы толстыхъ журналовъ.

**ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ФЕЛЬЕТОНЪ**

Новости русской и иностранной художественной жизни. Новости науки и искусства. Снимки съ картинъ, портреты, фотографіи, рисунки, шарки, карикатуры и проч.

Пробный № высылается за одну 7-копѣечную марку.

### Подписка на „ВЕСЬ МІРЪ“.

1 голъ—(52 №№)—2 р. 50 к.; 6 мѣс.—1 р. 25 к.; 3 мѣс.—70 к.; 1 мѣс.—25 к.—съ доставкой и пересылкой. За перемѣну адреса подписчики уплачиваютъ 15 коп. Разсрочка допускается для годовыхъ подписчиковъ: 1 р. при подпискѣ, 1 р. къ 1 марта и 50 к. къ 1 июля.

Пріемъ подписки и объявленій въ конторѣ журнала

**„ВЕСЬ МІРЪ“**

Москва, Никольская, домъ Чижевскаго подворья.

Годовые подписчики журнала „ВЕСЬ МІРЪ“ на 1910 г. получаютъ бесплатно все номера журнала, вышедшіе въ 1909 г.

(0—3)

Типографія Кутаисскаго религіозно-просвѣтительнаго „братства“ Тифлисская, домъ Киришева